



# ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 75



2013 წლის 1 მაისი

ქალაქი ხაშური

„ხაშურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლებსა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დევნილი და სოციალურად დაუცველი მოსწავლეებისა და აღსაზრდელების უფასო მომსახურების მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის #241 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1.

„ხაშურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლებსა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დევნილი და სოციალურად დაუცველი მოსწავლეებისა და აღსაზრდელების უფასო მომსახურების მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის #241 განკარგულებაში შემდეგი ცვლილება:

ა) განკარგულებით დამტკიცებული პროგრამის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. პროგრამით მოცული კონტიგენტი

ა) პროგრამა ვრცელდება მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სახელოვნებო სკოლების მოსწავლეებსა და საბავშვო ბაღების აღსაზრდელებზე, რომლების არიან:

ა.ა) დევნილის/იმპულეებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონენი;

ა.ბ) ოჯახებიდან, რომელთა რეიტინგი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 70 000 ქულას არ აღემატება.

ბ) პროგრამის სავარაუდო კონტიგენტი 157 მოსწავლე და 501 აღსაზრდელი, სულ 658 ბავშვი.“

ბ) განკარგულებით დამტკიცებული პროგრამის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. პროგრამის დაფინანსების წყარო და სავარაუდო მოცულობა

პროგრამა ფინანსდება ხაშურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან და მისი სავარაუდო მოცულობა შეადგენს 68 940 ლარს.“

2. განკარგულებით დამტკიცებული პროგრამის მე-3 პუნქტის მოქმედება გავრცელდეს 2013 წლის პირველი თებრვლიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

3. განკარგულება გაეფხავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

4. განკარგულება ძალაში შედის გამოქვეყნების თარიღიდან.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მსგავსი სტერესებზე პირის მიერ ერთი თვის ვადაში, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ხაშური, მ. ჭავჭავაძის ქ.#15).

საკრებულოს თავმჯდომარე  თ. ლომიძე

